

ხშირად დასმული კითხვები

თემის მიხედვით

სამეცნიერო ხელმძღვანელი | კოორდინატორი | ახალგაზრდა დოქტორი (Postdoc) | დოქტორანტი | ძირითადი პერსონალი | დამხმარე პერსონალი | ბიოგრაფია | ორგანიზაცია | საპროექტო წინადადება | გეგმა-გრაფიკი | ბიუჯეტი | რეგისტრაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი

შეკითხვა: შეიძლება თუ არა პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი?

პასუხი: დიახ, „პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (PI – Principal Investigator) შეიძლება იყოს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც პროექტის მიმდინარეობის პერიოდში არის წამყვანი ორგანიზაციის თანამშრომელი“. მიმდინარე კონკურსის პირობებში არ დევს თანამდებობრივი შეზღუდვა [იხ. პროგრამა და პირობები. მუხლი 3.2].

შეკითხვა: შეიძლება რომ, პროექტი წარმოადგინოს სამეცნიერო ხელმძღვანელმა, რომელიც ჩართულია მიმდინარე სახელმწიფო საგრანტო პროექტში ფუნდამენტური კვლევებისათვის?

პასუხი: დიახ. მიმდინარე კონკურსის პირობები არ ზღუდავს სხვა კონკურსში გამარჯვებულ პროექტებში ჩართულ მონაწილეებს, მხოლოდ აღნიშნულ პროექტში ჩართულობა (სამუშაო დატვირთვა) ხელს არ უნდა უშლიდეს მეორე, მიმდინარე პროექტში აღებული ვალდებულებების შესრულებას.

შეკითხვა: პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს თუ შეუძლია სხვა პროექტში მიიღოს მონაწილეობა?

პასუხი: დიახ, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვა პროექტშიც მკვლევარის სტატუსით. [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 3.2].

კოორდინატორი

შეკითხვა: პროექტის კოორდინატორს რა სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეს?

პასუხი: კოორდინატორის სამეცნიერო ხარისხი შეიძლება იყოს დოქტორი, დოქტორანტი, მაგისტრი, რადგანაც იგი წარმოადგენს ძირითად პერსონალს. [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 3.10].

შეკითხვა: პროექტის კოორდინატორი მხოლოდ საორგანიზაციო საქმით უნდა იყოს დაკავებული თუ სამეცნიერო კვლევაშიც შეიძლება იყოს ჩართული?

პასუხი: კოორდინატორი ვალდებულია მონაწილეობდეს პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და აიღოს პასუხისმგებლობა საორგანიზაციო საქმეებზე. მას არც ეკრძალება და არც ვალდებულია იყოს ჩართული იყოს სამეცნიერო კვლევაში. [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 3.7.ბ.]

შეკითხვა: შეიძლება თუ არა პროექტის კოორდინატორი იყოს დოქტორანტი, რომელსაც აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი უნივერსიტეტში?

პასუხი: დიახ, შეიძლება. დოქტორანტის სტატუსი შეესაბამება ძირითადი პერსონალის მოთხოვნებს. საკონკურსო შეფასების კრიტერიუმები ითვალისწინებს კოორდინატორის განათლებისა და გამოცდილების შესაბამისობას პროექტის მართვის თავისებურებებთან. [იხილეთ მინისტრის ბრძანება, კონკურსის დებულება, შეფასების კრიტერიუმი 3.3; პროგრამა და პირობები, მუხლი 3.7.ბ; მუხლი 3.10; მუხლი 6.5.ბ-გ].

ახალგაზრდა დოქტორი (POSTDOC)

შეკითხვა: როგორია ასაკობრივი ზღვარი ახალგაზრდა დოქტორებისათვის?

პასუხი: შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის განმარტებით, დოქტორი ითვლება ახალგაზრდად, თუ მისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან კონკურსის გამოცხადების თარიღამდე (16.10.2015) გასული დრო არ აღემატება 7 წელს. ამდენად, ტერმინი “ახალგაზრდა” გულისხმობს დოქტორის კარიერულ ასაკს და არა ბიოლოგიურ ასაკს.

დოქტორანტი

შეკითხვა: რამდენად შესაძლებელია პროექტის ძირითადი პერსონალი იყოს დამატებითი სემესტრის აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი?

პასუხი: შესაძლებელია. [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 3.10].

შეკითხვა: რამდენად შესაძლებელია პროექტის ძირითადი პერსონალი იყოს დოქტორანტი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი?

პასუხი: შესაძლებელია. მან უნდა წარმოადგინოს მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი. [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 3.10; მუხლი 6.5.გ.] .

შეკითხვა: თუ წამყვანი ორგანიზაციის თანამშრომელი არის ამავდროულად დოქტორანტი იმ ინსტიტუტში, რომელიც პროექტის თანამონაწილე ორგანიზაციაა, რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელი იქნება და რა დოკუმენტების საფუძველზე?

პასუხი: დოქტორანტი ჩაითვლება წამყვანი ორგანიზაციის წარმომადგენლად სამსახურიდან ცნობის საფუძველზე და განიხილება ახალგაზრდა მეცნიერად მისი სასწავლებლის მიერ გაცემული აქტიური სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 6.5.დ.]

ძირითადი პერსონალი

შეკითხვა: შეიძლება, რომ პროექტის ძირითადი პერსონალის 75% წამყვანი ორგანიზაციის თანამშრომლები იყვნენ?

პასუხი: დიახ. აუცილებელი პირობაა ძირითადი პერსონალის 70% იყოს წამყვანი ორგანიზაციის თანამშრომელი, ხოლო დარჩენილი 30% - პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 3.8]

შეკითხვა: ძირითად პერსონალში ყველას უნდა ჰქონდეს თუ არა აკადემიური ხარისხი?

პასუხი: დიახ. ძირითადი პერსონალის უდიდესი ნაწილი უნდა იყოს გამოცდილი დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ძირითადი პერსონალის მხოლოდ ერთი მეოთხედი (1/4) შეიძლება იყოს ახალგაზრდა მეცნიერი: მაგისტრანტი, მაგისტრი, დოქტორანტი, ან დოქტორი (რომელსაც აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო შვიდი წლის განმავლობაში)“ [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 3.9-10].

შეკითხვა: შეიძლება თუ არა პროექტს ჰყავდეს მარტო ერთი ძირითადი პერსონალი?

პასუხი: არა. „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ არ არის ინდივიდუალური კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ორგანიზაციებს სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად, ხოლო ძირითადი პერსონალის მინიმალური შემადგენლობა ასე შეიძლება დაკომპლექტდეს: სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი, გამოცდილი მკვლევარი (დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი) და ახალგაზრდა მეცნიერი. [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 3.1; მუხლი 3.7; მუხლი 3.9].

დამხმარე პერსონალი

შეკითხვა: ვინ შეიძლება იყოს დამხმარე პერსონალი?

პასუხი: დამხმარე პერსონალი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, სპეციალისტი, რომლის დახმარება შესაძლოა დასჭირდეს პროექტს. [იხ. მინისტრის ბრძანება, კონკურსის დებულება, მუხლი 2.კ]

შეკითხვა: დამხმარე პერსონალი სად უნდა მივუთითოთ პროექტში?

პასუხი: დამხმარე პერსონალი აისახება: 1) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკში (იხ. დანართი N4), სადაც მიუთითებთ აქტივობებს და შემსრულებლებს. თუ რომელიმე აქტივობაში ჩართული დამხმარე პერსონალი, დაწერეთ შესაბამის სპეციალობას, ვინაობის დასახელების გარეშე; 2) ბიუჯეტში (იხ. დანართი N5), სადაც უნდა ასახოთ დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება.

შეკითხვა: დამხმარე პერსონალმა რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს, მაგალითად ისტორიკოსმა?

პასუხი: არაფერი. დამხმარე პერსონალის დოკუმენტების წარმოდგენა არ არის საჭირო. საკმარისია პროექტში ჩანდეს მისი საჭიროება, და ასახული იყოს გეგმა-გრაფიკსა და ბიუჯეტში.

ბიოგრაფია

შეკითხვა: პროფესიული ბიოგრაფია პროექტის ყველა მონაწილემ უნდა წარმოადგინოს თუ მხოლოდ ძირითადმა პერსონალმა?

პასუხი: მხოლოდ ძირითადმა პერსონალმა [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 6.5].

შეკითხვა: აუცილებელია, რომ პროფესიონალური ბიოგრაფიის ეს ფორმა შევავსოთ, ანუ დანართი N6?

პასუხი: დიახ, აუცილებელია. პროფესიული ბიოგრაფიის ეს ფორმა სხვა გამოქვეყნებულ დანართებთან ერთად დამტკიცებულია ფონდის მიერ სპეციალურად ამ კონკურსისათვის. ამ ფორმების გამოყენება და დაცვა სავალდებულოა [იხ. ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანება, პროგრამა და პირობები, მუხლი 6.8]

ორგანიზაცია

შეკითხვა: ინსტიტუციის გარეშე თუ შეიძლება კონკურსში მონაწილეობა?

პასუხი: არა. გრანტის მიმღებია ორგანიზაცია (წამყვანიდა თანამონაწილე, თუ ასეთი არსებობს) სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად [იხ. მინისტრის ბრძანება, კონკურსის დებულება, მუხლი 2.5, მუხლი 4; პროგრამა და პირობები, მუხლი 3.3, მუხლი 3.5].

შეკითხვა: პროექტში ჩართული იქნება რამდენიმე ორგანიზაციიდან თითო-თითო მეცნიერი ძირითადი პერსონალის სტატუსით. ყველა ეს ორგანიზაცია ითვლება თუ არა თანამონაწილე ორგანიზაციად და ყველა ეს მეცნიერი პროექტის თანახელმძღვანელი უნდა იყოს?

პასუხი: არა. პროექტის თანამონაწილე ორგანიზაციად ჩაითვლება ის ორგანიზაცია, რომელიც პროექტის მონაწილეებს უზრუნველყოფს თავის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც

განსაზღვრულია მინისტრის ბრძანებაში. [იხ. მინისტრის ბრძანება, კონკურსის დებულება, მუხლი 2.ე]. ამ განმარტების შესაბამისად, თუ ორგანიზაცია არ უზრუნველყოფს პროექტს, მისი წარმომადგენელი ვერ იქნება თანახელმძღვანელი.

შეკითხვა: პროექტის ძირითადი პერსონალი გვინდა დავაკომპლექტოთ სხვადასხვა ორგანიზაციაში მომუშავე დარგის წამყვანი მეცნიერებით, მაგრამ პროექტი მხოლოდ ერთი (ჩვენი) ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელდება. ორგანიზაციებს შორის ასეთი თანამშრომლობა ნიშნავს თუ არა თანამონაწილეობას და როგორ აისახება ეს პროექტზე?

პასუხი: ეს არ ნიშნავს ორგანიზაციის თანამონაწილეობას, ეს ნიშნავს მკვლევარების მოწვევას სხვა ორგანიზაციიდან. ხოლო ორგანიზაციებს/ინსტიტუტებს შორის ასეთი თანამშრომლობა უნდა აისახოს საპროექტო წინადადებაში, I სამეცნიერო ნაწილი, თავი 4, ცხრილი 4.3.

საპროექტო წინადადება

შეკითხვა: პროექტის აკრონიმი აუცილებლად ქართული უნდა იყოს, ინგლისური შეიძლება?

პასუხი: კი. აკრონიმი შეგიძლიათ პროექტის ინგლისური სახელწოდებიდან შექმნათ.

შეკითხვა: პროექტის თანადაფინანსება იქნება უცხოურ ვალუტაში, რომელიც დაიხარჯება მეორე საანგარიშო პერიოდში. რა კურსით უნდა ვიანგარიშო ლარებზე?

პასუხი: მიუთითეთ თანადაფინანსების თანხა, ვალუტა და მიაწერეთ „(შესაბამისი კურსით ლარებში)“, მაგ. „5000 ევრო (შესაბამისი კურსით ლარებში)“.

შეკითხვა: დოქტორანტისათვის, რომელიც ამავდროულად არის წამყვანი ორგანიზაციის თანამშრომელი, რომელი ცხრილი უნდა შევავსოთ, საპროექტო წინადადების I ნაწილის მე-3 თავში „ძირითადი პერსონალი“ თუ სტუდენტები?

პასუხი: სტუდენტებისათვის განკუთვნილი ცხრილი.

შეკითხვა: პროექტის ფარგლებში ვაპირებთ ვიდეო სიუჟეტის მომზადებას, რომელიც განთავსდება მუზეუმის ვებ-გვერდზე. ეს ჩაითვლება კვლევის შედეგების კომუნიკაციად და როგორ უნდა ავსახოთ საპროექტო წინადადებაში?

პასუხი: დიახ. ეს ჩაითვლება კვლევის შედეგების კომუნიკაციად. ეს უნდა ასახოთ საპროექტო წინადადების მეორე ნაწილის მესამე თავში, სადაც მოცემულია ცხრილი. „ფორმატის“ სათაურის ქვეშ დაწერეთ „ვიდეო სიუჟეტი“, შეგიძლიათ დაამატოთ დეტალური ინფორმაცია, მაგალითად ხანგრძლივობა, ხოლო საკომუნიკაციო „ენის“ ქვეშ დაწერეთ სიუჟეტის ენა და ასევე ის ენები, რომელ ენაზეც იქნება სუბტიტრები, თუ ასეთს აპირებთ.

გეგმა-გრაფიკი

შეკითხვა: საანგარიშო პერიოდის დაწყებისა და დასრულების თარიღის მითითების დროს, დაწყების თარიღი აუცილებლად 2016 წლის 1 იანვარი უნდა იყოს?

პასუხი: არა. პროექტის დაწყების თარიღის შერჩევას თავისუფალი ხართ. მაგრამ რაც უფრო ადრე დაიწყებთ პროექტს, მით უკეთესი იქნება, იმის გაითვალისწინებით, რომ გრანტის მოპოვების შემთხვევაში ავანსად ჩაგერიცხებათ ერთი წლის ბიუჯეტი.

შეკითხვა: პროექტის ფარგლებში ვგეგმავთ უცხოეთში ექსპედიციას. ეს ერთი ამოცანაა?

პასუხი: ეს შეიძლება იყოს ერთი ამოცანა და მოიცავდეს აქტივობებს: 1. ვიზიტის უზრუნველყოფა, 2. ექსპედიციის მოწყობა. მაგრამ თუ ექსპედიცია იქნება კომპლექსური და ხანგრძლივი საქმიანობა, რომელიც განხორციელდება ეტაპებად, აჯობებს თუ ვიზიტის უზრუნველყოფა იქნება ცალკე ამოცანა, ექსპედიცია კი დაყოთ რამდენიმე ამოცანად.

შეკითხვა: გეგმა-გრაფიკში აქტივობების გასწვრივ თვეების გრაფაში უნდა მივუთითოთ თვის დასახელება, მაგ. იანვარი, თებერვალი და ა.შ.?

პასუხი: არა, საკმარისია შესაბამისი უჯრა გააფერადოთ.

ბიუჯეტი

შეკითხვა: ბიუჯეტის შედგენისას თუ უნდა მიექცეს ყურადღება საანგარიშო პერიოდებზე რა პროპორციით უნდა გადანაწილდეს თანხები?

პასუხი: ყურადღება მიექცევა დაგეგმილი აქტივობებისა და ვადების (გეგმა-გრაფიკის) შესაბამისობას დაგეგმილ ფინანსურ ხარჯებთან, რაც შეფასდება კომისიის მიერ. აუცილებელი პირობაა, წლიური მოთხოვნილი თანხა არ აღემატებოდეს 100 000 ლარს. [იხ. მინისტრის ბრძანება, კონკურსის დებულება, შეფასების კრიტერიუმები 3.1-2].

შეკითხვა: უცხოეთში ექსპედიციასთან დაკავშირებული ხარჯები როგორ უნდა აისახოს ბიუჯეტის ფორმაში?

პასუხი: ტრანსპორტის, საცხოვრებლისა და დღიური ხარჯები აისახება მივლინების სექციაში, ხოლო უშუალოდ ექსპედიციასთან დაკავშირებული ხარჯები - „სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობასთან განკუთვნილი ხარჯების“ სექციაში. თუ ამავე ვიზიტის დროს, გეგნებათ „საქონელი და მომსახურების“ ტიპის ხარჯი, დავუშვათ „სამუზეუმო მომსახურება“, ესეც შეგიძლიათ ასახოთ ბიუჯეტში.

შეკითხვა: პროექტის ფარგლებში ვაპირებთ ალბომის გამოცემას. საგამომცემლო ხარჯი როგორ უნდა აისახოს ბიუჯეტში?

პასუხი: „საქონელი და მომსახურების“ სექციაში უნდა ასახოთ საგამომცემლო ხარჯი.

- შეკითხვა:** ბუღალტრის მომსახურება როგორ ავსახოთ ბიუჯეტში, როგორც დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება?
- პასუხი:** პროექტისათვის ოპტიმალური იქნება, თუ ბუღალტრის მომსახურების ხარჯს დაფარავთ ზედნადები ხარჯების სექციიდან. ასევე, ბუღალტერი შეიძლება იყოს დამხმარე პერსონალი.

რეგისტრაცია

- შეკითხვა:** პროექტში ჩართული მეცნიერების უმრავლესობას ავტობიოგრაფიული მონაცემები შეტანილი გვაქვს ფონდის ვებსაიტზე, ბაზაში. მაინც უნდა შევავსოთ პროფესიული ბიოგრაფის ფორმა და ელ. ფოსტით გამოვაგზავნოთ?
- პასუხი:** კი, უნდა შეავსოთ ამ კონკურსისათვის დამტკიცებული ფორმა (დანართი N6) და გამოაგზავნოთ ძირითადი პერსონალისათვის მოთხოვნილ სხვა დოკუმენტებთან ერთად ელ. ფოსტაზე: he2015@rustaveli.org.ge საკონკურსო კომისიას განსახილველად და შესაფასებლად გადაეცემა მხოლოდ ის დოკუმენტები, რომლებსაც გამოაგზავნით კონკურსის ელ. ფოსტაზე. თუ ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები არ იქნება სხვა დოკუმენტებთან ერთად, ჩაითვლება, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია არასრულყოფილად იყო წარმოდგენილი და პროექტი მოიხსნება კონკურსიდან. [იხ. პროგრამა და პირობები, მუხლი 4.7; მუხლი 6.7-8.]